

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:	
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	17
4 ფული და ფულის ეკვივალენტები	19
5 წინასწარ გადახდილი თანხა	19
6 საგადასახადო აქტივი / საგადასახადო ვალდებულება	19
7 ძირითადი საშუალებები	20
8 არამატერიალური აქტივები	20
9 ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	21
10 საკუთარი კაპიტალი	22
11 ხელფასის ხარჯი	23
12 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	23
13 სხვა საოპერაციო ხარჯები	23
14 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე	24
15 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
16 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	25
18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	27
19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "თბილისის საფონდო ბირჟის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ნათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**სს "თბილისის საფონდო ბირჟა"****მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ სს "თბილისის საფონდო ბირჟის" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვას კომპანიის შიდა კონტროლის იდეალური მდგომარეობაზე;

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკავატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 მარტი, 2023


თბილისი, საქართველო



სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ეკვივალენტები მარაგები	4	282,237	357,718
წინასწარ გადახდილი თანხა	5	98,053	110,650
საგადასახლო აქტივი	6	14,588	37,162
დაფარვის ვადადღე ფლობილი ფინანსური აქტივები		4	-
სულ მიმდინარე აქტივები		394,882	509,571
ძირითადი საშუალებები	7	30,371	37,996
არამატერიალური აქტივი	8	913,408	981,645
სხვა აქტივები		4,041	-
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	9	1,175,255	1,165,822
წინასწარ გადახდილი თანხა		-	102,602
წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად		806	1,049
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,123,881	2,289,114
სულ აქტივები		2,518,763	2,798,685
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		25,425	13,834
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,425	13,834
სულ ვალდებულებები		25,425	13,834
სააქციო კაპიტალი	10	364,680	364,680
საემისიო კაპიტალი	10	3,196,229	3,196,229
გაუნაწილებელი მოგება		(1,067,571)	(776,059)
სულ კაპიტალი		2,493,338	2,784,850
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,518,763	2,798,684


 ნინო კურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი


 ნათუნა გვილავა
 მთავარი ბუღალტერი

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში


სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
საკომისიო და საწევრო შემოსავლები		5,000	-
სულ შემოსავლები		5,000	-
ინვესტიციების ღირებულების ცვლილება შვილობილ საწარმოში	9	9,432	(111,182)
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	(78,262)	(51,016)
ხელფასის ხარჯი	11	(37,799)	(9,346)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	12	(44,134)	(8,574)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(148,012)	(100,780)
ფინანსური შემოსავალი		2,263	4,286
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(291,512)	(276,612)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(291,512)	(276,612)
შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე:			
საბაზისო და გაზავებული		(0.80)	(0.77)



ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ნათუნა გვილაგა

მთავარი ბუღალტერი

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(6,457)	(286,119)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(21,245)	(1,816)
გადახდილი გადასახადები		(4,464)	(124,098)
მომწოდებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		5,000	
მიღებული პროცენტი		2,250	4,286
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(24,916)	(407,747)
შემოსავალი ობლიგაციიდან		-	-
არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების გაყიდვა/(შეძენა)		(2,400)	(239,365)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,400)	(239,365)
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		(27,316)	(647,112)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		357,718	1,007,308
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(48,165)	(2,478)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	282,237	357,718



ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ნინო ქურდიანი

მთავარი ბუღალტერი

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში


კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	358,804	3,196,229	(499,447)	3,055,586
აქციების ემისია	5,876	-	-	5,876
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	(276,612)	(276,612)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	364,680	3,196,229	(776,059)	2,784,850
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	(291,512)	(291,512)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	364,680	3,196,229	(1,067,571)	2,493,338



ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ნათუნა კვიციანი

მთავარი ბუღალტერი

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

1 ზოგადი ინფორმაცია

სს "თბილისის საფონდო ბირჟა" (შემდეგში "კომპანია") დაფუძნდა 2015 წლის 7 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველას 71, მე-8 ბლოკი, მე-2 სართული, თბილისი, 0186. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია ნინო ქურდიანი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.

კომპანიის დამფუძნებელი და აქციათა 100%-ის მფლობელი 2016 წლის დეკემბრამდე იყო სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" ("დამფუძნებელი"). დამფუძნებელმა კომპანია დააფუძნა, რათა დაუბრკოლებლად შეძლოს სახსრების მოზიდვა ბიზნესის განვითარებისთვის კომპანიის აქციების რეალიზაციის გზით. 2016 წლის შემდეგ შეიცვალა კომპანიის აქციების პროცენტული წილების განაწილება და შესაბამისად, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	27.42%	27.87%
სს "გალტ ენდ თავარტი"	23.66%	23.66%
შპს "თიბისი კაპიტალი"	23.66%	23.66%
შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია"	23.66%	23.66%
გიორგი ფარესიშვილი	1.60%	1.60%
	100.00%	100.45%

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელს შეუმცირდა წილი კომპანიაში 27.42%-მდე (2021 წელი: 27.87%), იგი მაინც ინარჩუნებს კონტროლს კომპანიაზე და მის შედეგებს ასახავს საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიამ 2022 წელს დაიწყო საოპერაციო საქმიანობა.

2 მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჯოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ბუნების მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებისა და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სადრიცხო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებენ არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"
- ბ) ბასს 37-ის შესწორებები "წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"
- გ) ფასს 16-ის შესწორებები "კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა."

დოკუმენტი ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ კომპანიამ აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შეიქმნა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წაგებიანი იქნება თუ არა.

ფასს 16-ის შესწორებები - "კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული და გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ა) ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;

2 მნიშვნელოვანი საარციხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- ბ) ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებზე";
- გ) ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში";
- დ) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება საარციხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;
- ე) ბასს 8-ის შესწორებები - ინფორმაციის გამჟღავნება საარციხვო პოლიტიკის შესახებ და საარციხვო შეფასების განმარტება;
- ვ) ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან.

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;

- ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებზე"

- ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში"

ფასს 10-ისა - "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების საარციხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება საარციხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;

"საარციხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და საარციხვო შეფასების განმარტების შესწორებები" - იწვევს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს:

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;
- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი საარციხვო პოლიტიკების შესახებ;

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები (გაგრძელება)

- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვავოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;
- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 - "არსებითობის განსჯა", რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან

- დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთი ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში, წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთი ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან ამკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ექვეტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- შესაკუთრობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) - ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადანაწილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების დროს ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის დაქვეითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

საოფისე აღჭურვილობა	20%
სერვერი	10%

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმაურებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აღიარება

შექნილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟსა და არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტებისა და ფასდაკლების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით, შემდეგნაირად:

საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფა	15 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	3-10 წელი

არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როცა შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

MONTRAN CORPORATION-სგან შეძენილი სავაჭრო სისტემის ამორტიზაცია დაიწყო მაშინ, როდესაც დასრულდა მისი დეველოპმენტი და შესაძლებელი გახდა აქტივის გამოყენება.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

2.9 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	დოლარი	ევრო	ფუნტი
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844	3.2581
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3.5040	4.1737
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.9156	3.0792	3.6181
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	3.2209	3.8140	4.4325

2.10 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი კომპანიებიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

2.11 წინასწარ გადახდილი თანხა

წინასწარ გადახდილი თანხა ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული გადახდილი ავანსის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

2 მნიშვნელოვანი საარციზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.12 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2.13 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (ოურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

2.14 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

2.15 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისთვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თოთოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალლო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, აგრეთვე, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.15 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ვეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შექმნასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორც კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

იჯარა

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანაღრიცხვების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის იჯარები არის მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება-ზარალში.

კომპანია იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებად პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

- ა) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და
- ბ) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას.

2.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებსა და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებათა მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთასა და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, საერთაშორისო პრაქტიკასა და ბაზრის სწრაფად ცვლადობად მოთხოვნებს. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

გ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

დ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

ე) შეიღობილ საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურება

კომპანია ყოველწლიურად ატარებს შეიღობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურების ტესტირებას, თუ გამოვლენილია მათი გაუფასურების ნიშნები. გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან საბაზრო ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასხვისებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ხდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. აღდგენითი ღირებულება მგრძობიარეა დისკონტირებული ფულადი ნაკადებისა და სამომავლო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მეთოდებში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის და ექსტრაპოლაციის მეთოდში გამოყენებული ზრდის ტემპის მიმართ.

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

4 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	5,744	12,360
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	276,493	345,358
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	282,237	357,718

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო განაკვეთი 0.75% - 3%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

ვალუტების მიხედვით ფული და ფულის ეკვივალენტები იხილეთ შენიშვნა 17.4-ში, ხოლო ვალუტების მიხედვით საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შენიშვნა 17.3-ში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის.

5 წინასწარ გადახდილი თანხა	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
<i>მიმდინარე აქტივი:</i>		
წინასწარ გადახდილი თანხა პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის	96,907	109,397
სხვა წინასწარ გადახდილი თანხა	1,146	1,253
<i>გრძელვადიანი აქტივი:</i>		
წინასწარ გადახდილი თანხა პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის	806	102,602
სულ წინასწარ გადახდილი თანხა	98,859	213,252

2021 წლის 18 მაისს კომპანიამ წინასწარ გადაიხადა 2021 წლის 22 აპრილიდან 2023 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდის განმავლობაში MONTRAN CORPORATION-ისგან მისაღები პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მომსახურების ღირებულება. საანგარიშგებო თარიღიდან 1 წლის განმავლობაში მოსაღები მომსახურების ღირებულება წარმოდგენილია მიმდინარე აქტივის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი - გრძელვადიანი აქტივის სახით.

გადახდილი ავანსი ძირითადად მოიცავს მონტრანის კორპორაციისთვის პროგრამული უზრუნველყოფის 2.5 წლის მომსახურებისთვის 2021 წლის 18 მაისს წინასწარ გადახდილ თანხებს. 2022 წლის განმავლობაში პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯად აღიარდა 115,092 ლარი. გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 96,907 ლარს (2021: 211,999 ლარი).

6 საგადასახადო აქტივი / საგადასახადო ვალდებულება

კომპანიას საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულება წარმოეშება საშემოსავლო, ქონების და უკუდაბეგვრის დღე-ს გადასახადებიდან.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია განაწილებული მოგების დაბეგვრიდან წარმოქმნილი გადასახადელი მოგების გადასახადი. ასევე, 2016 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მოგების გადასახადის ესტონური მოდელის (მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ) თანახმად, კომპანიას არ წარმოეშება გადავადებული მოგების გადასახადი.

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

7 ძირითადი საშუალებები

	სერვერი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,721	62,701	97,422
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,721	62,701	97,422
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,721	62,701	97,422
<i>ცვეთა</i>			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,893)	(47,879)	(50,772)
ცვეთა წლის მანძილზე	(3,472)	(5,182)	(8,654)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6,365)	(53,061)	(59,426)
ცვეთა წლის მანძილზე	(3,472)	(4,153)	(7,625)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(9,837)	(57,214)	(67,051)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,828	14,822	46,650
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,356	9,640	37,996
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,884	5,487	30,371

2022 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 40,778 ლარია (2021 წელი: 33,330 ლარი), რომელსაც კომპანია კვლავ იყენებს საოპერაციო

8 არამატერიალური აქტივები

	სავაჭრო სისტემის ლიცენზია	სხვა არამატერიალუ რი აქტივები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,992	9,528	1,024,520
შეძენა	-	1,750	1,750
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,992	11,278	1,026,270
შეძენა	-	2,400	2,400
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,992	13,678	1,028,670
<i>ამორტიზაცია</i>			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,262)	(2,262)
ცვეთა წლის მანძილზე	(39,472)	(2,891)	(42,363)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(39,472)	(5,153)	(44,625)
ცვეთა წლის მანძილზე	(67,666)	(2,971)	(70,637)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(107,138)	(8,124)	(115,262)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,992	7,266	1,022,258
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	975,520	6,125	981,645
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	907,854	5,554	913,409

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

8 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს MONTRAN CORPORATION-სგან შექმნილ სავაჭრო სისტემის ლიცენზიასა და სხვა არამატერიალურ აქტივებს. 2019 წლის ნოემბერში MONTRAN CORPORATION-მა კომპანიას მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა არამატერიალურ აქტივად კლასიფიკაციის კრიტერიუმები და სავაჭრო სისტემის ლიცენზია აღიარდა არამატერიალურ აქტივად. აქტივი კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში გამოიყენება 2021 წლის ივნისიდან.

9 ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

2016 წლის 23 დეკემბერს სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ შეისყიდა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 304,499 ცალი ჩვეულებრივი აქცია. თითო აქციის ღირებულება იყო 3.623 ლარი და მთლიანად გადაიხადა 1,103,200 ლარი. 2019 წლის 02 დეკემბერს სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ შეისყიდა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 193,211 ცალი ჩვეულებრივი აქცია. თითო აქციის ღირებულება იყო 3.623 ლარი, შესაბამისად სს "თბილისის საფონდო ბირჟა" მთლიანად გადაიხადა 700,003 ლარი. ამ ინვესტიციით სს "თბილისის საფონდო ბირჟა" გახდა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 83.10 %-ის მფლობელი.

2022 წლის ბოლოსთვის დაგროვებული გაუფასურების ზარალი არის 627,949 ლარი (2021: 637,381 ლარი), ხოლო საბალანსო ღირებულება შეადგენს 1,175,255 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრისთვის: 1,165,822 ლარს).

შვილობილი კომპანიის აუდიტირებული ფინანსური ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

					ჯამური აქტივები	წმინდა აქტივები	წმინდა მოგება/ (ზარალი)
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"					1,416,434	1,414,265	11,350
				ინვესტიცია შვილობილში		საბალ. ღირებ. (83.10)% წმინდა აქტივებში	დაგროვებული გაუფასურების ზარალი
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"					1,803,203	1,175,254	627,949

2021 წლის ბოლოსთვის დაგროვებული გაუფასურების ზარალი არის 637,381 ლარი (2020: 526,199 ლარი), ხოლო საბალანსო ღირებულება შეადგენს 1,165,822 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 1,277,004 ლარი).

შვილობილი კომპანიის აუდიტირებული ფინანსური ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

					ჯამური აქტივები	წმინდა აქტივები	წმინდა მოგება/ (ზარალი)
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"					1,405,414	1,402,914	(133,794)

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

9 ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში (კავრძელება)

	ინვესტიცია შვილობილში	საბალ. ღირებ. (83.10)% წმინდა აქტივებში	დაგროვებული გაუფასურების ზარალი
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	1,803,203	1,165,822	637,381
გაუფასურების ზარალი:			
დაგროვებული გაუფასურების ზარალი 2020 წლის 31 დეკემბერი			526,199
ინვესტიციების გაუფასურება შვილობილ საწარმოში წლის განმავლობაში			111,182
დაგროვებული გაუფასურების ზარალი 2021 წლის 31 დეკემბერი			637,381
ინვესტიციების გაუფასურება შვილობილ საწარმოში წლის განმავლობაში			(9,432)
დაგროვებული გაუფასურების ზარალი 2022 წლის 31 დეკემბერი			627,949

10 საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 10,000,000 ცალი ნებადართული 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, საიდანაც განთავსებული ჩვეულებრივი აქციების ოდენობაა 364,680 ცალი (2021 წელი: 364,680 ცალი). კომპანიას 2022 წლის განმავლობაში არ გამოუშვა აქციები.

კომპანიის საემისიო კაპიტალი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,196,229 ლარს.

წლის განმავლობაში არ მომხდარა აქციონერებზე დივიდენდის გაცემა.

კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალის მართვისას (რომელსაც კომპანია განმარტავს, როგორც თავის ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ წმინდა აქტივებს) კომპანიის მიზანია, შექმნას რისკების დაზღვევისთვის საკმარისი ბუფერი და უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რათა მან გააგრძელოს დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა და დააგენერიროს უკუგება აქციონერებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია აფასებს პროდუქტებისა და პროექტების თანმდევ რისკებს და შესაბამისობას კაპიტალურ ბუფერებთან; მუდმივად განახლებადი ფინანსური ანგარიშგებების წარმოებით მართავს და აკონტროლებს საკუთარი კაპიტალის შესაბამისობას რისკებთან და კაპიტალის მოთხოვნებთან.

საფონდო ბირჟებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) უსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად საფონდო ბირჟისთვის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 50,000 ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "თბილისის საფონდო ბირჟის" საკუთარი კაპიტალი არის 2,483,906 ლარი (2021 წელი: 2,784,851 ლარი), შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს. სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნების მართვა ინტეგრირებულია კაპიტალის მართვის საერთო ჩარჩოში და კონტროლირდება დინამიურად კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

ამასთანავე, საფონდო ბირჟას საქართველოს ეროვნული ბანკი ავალდებულებს საფონდო ბირჟის ლიცენზიის ფლობის ყველა ეტაპზე გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე ჯამურად არანაკლებ მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით. კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე. წლის განმავლობაში ფულადი სახსრების ნაშთი არ ყოფილა მინიმალურ კაპიტალზე (50,000 ლარი) ნაკლები და შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს.

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

11 ხელფასის ხარჯი	2022	2021
შრომითი ანაზღაურება	26,208	9,346
დარიცხული მენეჯმენტის ბონუსი	11,591	-
სულ ხელფასის ხარჯი	37,799	9,346

12 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)

	ფული და ფულის ექვივალენტები	კრედიტორული დავალიანება	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	27,074	59	37	27,170
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(70,865)	-	(439)	(71,304)
2022 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	(43,791)	59	(402)	(44,134)

	ფული და ფულის ექვივალენტები	კრედიტორული დავალიანება	გრძელვ. ვალდებულება არამატ. აქტივის შესაძენად	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	57,478	1,036	894	-	59,408
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(54,752)	(9,539)	(2,963)	(728)	(67,982)
2021 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	2,726	(8,503)	(2,069)	(728)	(8,574)

13 სხვა საოპერაციო ხარჯები	2022	2021
პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფა	135,809	89,369
გარანტიის ხარჯი	4,382	5,286
კომპიუტერის ხარჯი	639	549
ბანკის ხარჯი	415	512
რეგისტრატორის (კაკკასრეესტრი) მომსახურების ხარჯი	371	422
კომუნიკაციის ხარჯი	174	174
დომეინი საბონენტო გადასახადი	154	154
საფოსტო ხარჯი	40	21
ქონების გადასახადი	-	-
სხვა ხარჯები	6,028	4,293
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	148,012	100,780

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

14 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მხოლოდ ჩვეულებრივ აქციებს.

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
წმინდა შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება საერთო აქციონერებს	(291,512)	(276,611)
მოგება/(ზარალი) მიმდინარე წლისთვის	(291,512)	(276,611)
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	364,680	359,641
საბაზისო	(0.80)	(0.77)

15 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშგაღებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშგაღებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგაღებულ საწარმოს;
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგაღებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშგაღებული საწარმოს ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშგაღებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშგაღებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავე საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავე საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშგაღებული საწარმოს, ან ანგარიშგაღებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმასხვრციელებელი. თუ ანგარიშგაღებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმასხვრციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშგაღებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) ქუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავე საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშგაღებულ საწარმოს, ან ანგარიშგაღებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
საბალანსო ნაშთები სს "თიბისი ბანკთან"	5,132	249
საბალანსო ნაშთები სს "საქართველოს ბანკთან"	275,878	356,296

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

15 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის ანაზრაურებასთან დაკავშირებული ნაშთი	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გადასახდელი ხელფასი	11,591	-
ზარჯი:	2022	2021
დამფუძნებლის შვილობილი	-	422
სხვა დაკავშირებული მხარეები	613	10
ხელმძღვანელობის ანაზღაურება:	2022	2021
ხელფასი და პრემია	35,299	9,385
შემოსავალი	2022	2021
სს გალტ ენდ თაგარი	5,000	-

16 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

16.1 მიმდინარე სასამართლო დავები

კომპანიას საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით არ აქვს ისეთი სასამართლო დავები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	282,237	357,718
სულ ფინანსური აქტივები	282,237	357,718
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,425	13,834
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,425	13,834

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

17.1 საკრედიტო რისკი

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი წარმოექმნება ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთისგან, რაც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 282,237 ლარს (2021 წელი: 357,718 ლარი). ფული და ფულის ეკვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანიის ფულადი სახსრები და საბანკო დეპოზიტები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

17.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	282,237	-	-	-	282,237
სულ ფინანსური აქტივები	282,237	-	-	-	282,237
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	25,425	-	-	-	25,425
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,425	-	-	-	25,425
ლიკვიდურობის პოზიცია	256,812	-	-	-	256,812

ლიკვიდურობის რისკი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	357,718	-	-	-	357,718
სულ ფინანსური აქტივები	357,718	-	-	-	357,718
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	13,834	-	-	-	13,834
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,834	-	-	-	13,834
ლიკვიდურობის პოზიცია	343,884	-	-	-	343,884

17.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრზე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია წვემით:

წლიური %-ში	31-დეკ-2022		31-დეკ-2021	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.00%	0.50%	3.00%	0.50%

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

17.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სულ
აშშ დოლარი	270,339	270,339
ევრო	3,802	3,802
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	274,141	274,141

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სულ
აშშ დოლარი	347,610	347,610
ევრო	4,619	4,619
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352,229	352,229

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 27,034 ლარით (2021: 34,761 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 380 ლარით (2021: 462 ლარით).

18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვინაიდან კომპანიას ან მის მფლობელებს და კომპანიის ძირითად კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.
